საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6478
28/10/2022

6478-21-2-202210281736

შპს „პოლიპლასტს“
მის: ქ. თბილისი, გლდანი, ჯანჯღავას ქ. №30
ელ.ფოსტა: Mose.b@gergili.ge Giorgi_vakhtangishvili@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4704 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ზღვისუბანის დასახლებაში, ისააკიანის ქ. №1-ში პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის ძირითადი ნაწილი ეთმობა შპს „პოლიპლასტის“ პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოო ხაზის (ნარჩენების აღდგენა) და პოლიეთილენის გრანულების გადამამუშავებელი საწარმოს მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებს, რაც განხილული და შეფასებულია 2021 წლის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში. სკრინინგის განცხადებაში განხილული და შეფასებული უნდა იყოს კომპანიის მიერ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება და ცვლილებით გამოწვეული გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების გათვალისწინებით;
- დოკუმენტში წარმოდგენილი ტერიტორიის GPS კოორდინატები სცდება წარმოდგენილ Shp ფაილების საზღვრებს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ აკუსტიკური ხმაურის დონე უახლოეს მოსახლესთან არ გადააჭარბებს დასაშვებ ნორმას, თუმცა დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთება (ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული დანადგარების ხმაურის მონაცემები შესაბამისი გათვლებით და ა.შ);
- სკრინინგის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს საწარმოში თითოეული დანადგარის (დამონტაჟებული/დასამონტაჟებელი) შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, დანადგარების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ მონაცემები, შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმით და სხვა;

- სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ „კომპანიას დაგეგმილი აქვს არსებული დანადგარების ცვლილება, კერძოდ, 2 ცალი ექსტრუდერის ნაცვლად საწარმოში დამონტაჟდება 1 ცალი ექსტრუდერი (15 კგ/სთ), ხოლო არსებული 3 გრანულატორის ნაცვლად დამონტაჟდება 1 ცალი გრანულატორი (40 კგ/სთ). თუმცა, არსებული საქმიანობის აღწერის თავში მოცემულია, რომ „ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის პროცესში გათვალისწინებულია 2 ცალი ექსტრუდერის დამატება, რომელთა ჯამური წარმადობა შეადგენს 30 კგ/სთ-ში“. ასევე, თავი 2.2-ში გრანულატორების ჯამურ წარმადობასთან დაკავშირებით მითითებულია - „5 გრანულატორი, ჯამში 32კგ/სთ-ში“. ზეამოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
- ვინაიდან სკრინინგის ანგარიშში მოცემული არსებული საწარმოს გენ-გეგმის მიხედვით საწარმოში განთავსებულია 7 ექსტრუდერი და 5 გრანულატორი, წარმოდგენას საჭიროებს და სქემაზე/გეგმაზე მითითებული უნდა იყოს რომელი დანადგარის ჩანაცვლება არის გათვალისწინებული, ასევე სქემაზე უნდა იყოს ნაჩვენები დასამონტაჟებელი დანადგარების მდებარეობა;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „პოლიეთილენის გრანულების გადამუშავების საწარმოს წლიური წარმადობა შემცირდება და ნაცვლად 196 ტ/წ იქნება 126 ტ/წ“, თუმცა, თავი 2.2-ში აღნიშნულია, რომ „არსებული გრანულების გადამამუშავებელი საწარმოს წარმადობა შემცირდება და იქნება 190,4 ტ/წ“. ასევე, სკრინინგის ანგარიშში მოცემულია, რომ პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმოს წლიური წარმადობა 89.6 ტ/წ ნაცვლად იქნება 112 ტ/წ. ხოლო, 2.2 თავში აღნიშნულია, რომ „საერთო ჯამში არსებული გრანულების გადამამუშავებელი საწარმო ხაზის წარმადობა და პოლიეთილენის ნარჩენების წარმადობა იქნება 280 ტ/წ”. შესაბამისად, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული საკითხი;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში შეტანილი ნარჩენის წინასწარი დამუშავების (გარეცხვა) საკითხი;
- დოკუმენტში არ არის მოცემული ინფორმაცია საწარმოში სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო